№ 60. მარტის 19, სამშაბათი. 1866—1885 მარტის 19, სამშაბათი. № 60

„დროება“-ს რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მან. [illegible] ბისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

გამოვიდა და ურიგდება ჟურნალი

## ნობათი

როგორც 1885 წ., აგრეთვე 1884 წ. ხელის-მომწერლებს.
მიიღება ჟურნალზე ამ წლის ხელის-მოწერა. (3—1)

## სათეატრო განცხადება

ამ წლის მარტის 31-იდამ, მაისის 1-ლამდის და ამავე წლის ოქტომბრის პირველიდამ 1886 წლის აღებამდის ქართული დრამატიული დასი დაიწყებს წარმოდგენების გამართვას. ამის გამო დასის გამგეობა მოიწვევს, როგორც ძველს არტისტებს აგრეთვე დასში ახლად შემოსვლის მსურველთა,—წარუდგინონ თავიანთი პირობანი დასის საქმეთა გამგეს.

(6—1) საქმეთა გამგე ვ. აბაშიძე.

## მართალი რომ მეფური შემოწირულობა

თბილისი, მარტის 19-ს

ძნელია კაცისათვის იმის გამომეტება, რაც მამა-პაპითვე მის ოჯახს საუნჯესავით შეუნახავს და რაც მისთვისაც ძვირფასად ჩაუბარებიათ. ამ გვარს საუნჯეს მეგრელის მთავრებისათვის შეადგენდა ის წიგნთ-საცავი, რომელსაც აწ-ნდელი თავადი მეგრელიისა უხვად სწირავს «წერა-კითხვის საზოგადოებას». მსგავს გარდაწყვეტილებას უგანათლებულესი თავადი ვერ დაადგებოდა, თუ მას აშკარად არ ეგრძნო, თუ რა დიდი განსხვავებაა მე-სა და ჩვენ-ს შორის, კერძო შორის საზოგადოისა. იქნება მისის პირადის თავის მოყვარეობისათვის ისა სჯობნებოდა, რომ ეს ძვირფასი ბიბლიოთეკა მეგრელიის მთავრების საზაფხულო სადგურს გორდში წყობილიყო და მისი მდიდარი კატალოგი თავის სტუმრებისათვის ამაყად ეჩვენებინა ხოლმე, მაგრამ თავადმა პირადი თავის-მოყვარეობა უკან დააყენა და საზოგადო სარგებლობას ანაცვალა. იგი თავის წერილში, რომელსაც მკითხველი ქვემოთა ნახავს, ამბობს: „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უფრო მომეტებული სახსარი და ღონის-ძიება აქვს—უმეტესი სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ქვეყანას, ვიდრე კერძო პირსაო“, და ამ გვარი მეხედველობა მოსალოდნელიც იყო მეგრელიის თავადისაგან, როგორც მეცნიერებულისა და განვითარებულის პირისაგან. ამ მაგალითმა იქნება ეხლა მაინც გრძნობაში მოიყვანოს ზოგიერთნი პირნი, რომელნიც თავიანთ ძვირფასად შესანახავ წიგნებს ძველ ზანდუკებში მტვრად აქცევენ და საზოგადოებისათვის კი არ ემეტებათ; ინება ეხლა მაინც გაეღვიძოთ ძველი წიგნებისა და ნივთების პატრონთ სურვილი ყოველ ამ ძვირფას ნაშთების ერთად თავ-მოყრისა და საშვილი-შვილოდ შენახვისა; იქნება მეგრელიის თავადის შემოწირულებამ სხვა ამისთანა მრავალი შემთხვევა გამოიწვიოს და პირდაპირის ნივთიერის შემატების გარდა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ მაგალითის ჩვენებითაც მრავალკეცად შემატოს.

საამოა ესეთი ხელის შეწყობა თავადისაგან იმ საზოგადოებისა, რომელსაც თავის საგნად საქვეყნოდ მზრუნველობა აქვს, მაგრამ ესა და სხვა ამის მსგავსი მაგალითები ამრავალკეცებენ იმ ვალსაც, რომელიც „საზოგადოების“ გამგეობასა აქვს ნაკისრები. რაკი კერძო პირნი ისეთს თანაგრძნობასა და ნდობას უჩენენ მას, რომ მზად არიან მამა-პაპეული საუნჯე «სამშობლო ქვეყნის სარგებლობისათვის» შესწირონ, იმასაც მართებს მომეტებულის სიმხნისა და ენერგიის გამოჩენა, მუყაითად მოქცევა თავის ძმიმე, მაგრამ წმიდა მოვალეობისადმი. რაკი, ეხლა ამ შემოწირულების შემდეგ, „წერა-კითხვის საზოგადოებას“, თამამად შეუძლიან სთქვას, რომ ამისთანა ბიბლიოთეკა საქართველოში არავის არ ექნება და მომავალშიაც მოსალოდნელია მისი ყოველ-მხრივი გამდიდრება,—ამისათვის გამგეობა უნდა შეუდგეს ზრუნვას, რომ ამ ბიბლიოთეკისათვის საკუთარი თუნდ მცირე შენობა მოიპოვოს სადმე და წესი დაამყაროს, რა წესითაც მსურველთ შეუძლიანთ ამ ბიბლიოთეკით სარგებლობა. გამგეობამ უნდა მიიღოს ყოველგვარი საშუალება, რომ ეს ეროვნული განძი ცეცხლის შიშს ააცილოს და ააცილოს აგრეთვე იმ შიშს, რომელიც ამ გვარ წიგნთ-საცავს ცეცხლზე ნაკლებ არ აენებს და რომელსაც „წაღება და აღარ-მოტანა“ ჰქვიან. გამგეობამ უნდა შეადგინოს დაწვრილებითი კატალოგი მთელის თვისის ბიბლიოთეკისა, რომელსაც, შეწირულობის კვალობაზედ, დამატებაც დაერთობა ხოლმე და დანიშნულ დროს ყოველ მსურველს მისცეს ნება ამ ბიბლიოთეკით სარგებლობისა.

მაგრამ ყველაზედ უპირველესად, კატალოგის შედგენის შემდეგ, გამგეობამ უნდა მკვიდრ საძირკვლის ჩაყრისათვის იზრუნოს; ე. ი. შენობის შეძენისა ან განგებ ამ განზრახვით აშენებისათვის: პირველის შეხედვით, იქნება ეს აზრი შეუძლებლად გვეჩვენოს, მაგრამ, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ „წერა-კითხვის საზოგადოება“ შესაფერს მუყაითობას გამოიჩენს და აუხსნის საზოგადოებას ამ საქმის მნიშვნელობას, მაშინ მისი განხორციელება თუმცა მაინც ძნელი იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი.

საზოგადო ბიბლიოთეკა

## შინაური ქრონიკა

═ აი, ის წერილი, რომლის ძალითაც თავადმა მეგრელიისამ შესწირა

## გურიის ცხოვრებიდან

შესავალის მაგიერ.—ქალაქი და მაზრა.—რა უნდა იყოს, და რას ვხედავთ.—რის მიზეზია?—უგზო-უხიდობა და მოსალოდნელი ხოლერა.—რომელი კარანტინი სჯობია?—ორ-გვარი «ბატონები».—წესდებანი მარჯვნით, კანონი მარცხნით და შუაზედ ჯიუტურად ხავარდობა.—დედის გამსწრებ ხბოს მგელი შესჭამს.

ბუნებით უხვად შემკულს, ალებმიცემობის მიმდევარს, ას ორმოცდაათი ათასი მცხოვრებლებით დასახლებულს გურიას, რომელიც მარტო საზღვარ-გარეთ ასაღებს ორი მილიონის (2.000.000) მან. სიმინდსა და აბრეშუმს, რუსეთის ვაჭრებისგან ყოველ წლიურ ხარკად იღებს ას-სამოცდაათს მანეთამდე თამბაქოს ფასად და საოცარის წყურვილით ეწაფება წერა-კითხვას და განათლებას—დღემდის თავის ყოფა-ცხოვრების განსახილველად და გამოსარკვევად სათანადო ადგილი არ ჰქონია დაჭერილი «დროების» ფურცლებზე. როგორც გინდათ, ისე იფიქრეთ, და მე კი ვიტყვი, რომ ეს მიუტევებელ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს, როგორც თვით გურიის ინტელიგენციას, ისე... მაგრამ აქ კი სიჩუმეს ვარჩევ:

ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდების....

ამ დანაშაულის ასაშორებლად, პატივცემული რედაქციის თხოვნისამებრ, მსურს დროთი-დრომდე, კვირაში ანუ ორ-კვირაში ერთხელ მაინც მკითხველთა ყურადღება მივაქციო აქაურ საქმეებს, თუ გარემოებამ ხელი არ დამიცარა და თუ ი. თ—ისა და მარ. ივინ—სავით თქვენი მორჩილი მონაც არ ამბარგეს ხელ ჯოხიან-თავ-ჩალიანების საზიზღარმა ინტრიგებმა და კიდევ უსაზიზღრესმა «დანოსებმა».

მაგრამ, დაე, იყავნ ნება ღვთისა! ძველადგანვე დქმულა: მართლის მთქმელს რა უნდა? და მკაზმული ცხენიო! და ჩვენც გადავურჩებით „დროებისა“ და მისი მკითხველების წყალობით აზარგების დარდს: მე თქვენ გეტყვით—ვითომ თანამდებობიდამ გადაგდომა ან აუარებელი მიწა-წყლის მიტოვება შემაწუხებს? სრულიადაც არა! მე არც მიწა-წყალი გამაჩნია და არც რაიმე თანამდებობა მიჭირავს, რომ მათგან გემო-ალებული ი. თ—სა და მ. ი—ს მაგალითით შევშინდე და სიმართლის თქმისათვის შეკაზმული ცხენის მომზადებას „კავკაზის“ შემთხვევით კორესპონდენტების უნდილი დითირამბები და ლიქვნა ვარჩიო! ჩემი სიმდიდრე ჩემი მარჯვენაა და ხელობად მართალთა ქომაგობა ამირჩევია. სადაც უნდა მიმიზონ საცხოვრებელი ადგილი, დარწმუნებული ვარ მარჯვენა იქაც არ მიღალატებს და მართალთა ქომაგობა ახალ საცხოვრებელშიაც გამომადგება:

სადაცა ვიყო, რა მგამა,
უოფაცა მქონდეს ნებისა!...

* * *

ქუთაისის გუბერნიის სამაზრო ქალაქებში ცხოვრების სიცხოველით, ალებმიცემობის სიდიდით და ინტელიგენციის სიმრავლით უპირატესობა ოზურგეთს უნდა მიეცეს, «თუ სადმე სამართალია»—როგორც ჩვენში იტყვიან... ხუთი-ათასიოდე მცხოვრებლიდგან აქ ითვლებიან კურს-დასრულებულნი—უმაღლეს სასწავლებლებში ათი, საშუალოებში—ოც-და-ხუთი, მდაბლებში—ორმოც-და-შვიდმეტი, სასოფლო სასწავლებლებში—ასი და იმისთანანი კი, რომელთაც წერაკითხვა არ იციან, თითქმის თითით ჩამოსათვლელზე მეტი არ არიან. ქუთაისის გუბერნიის ვერც ერთს სხვა მაზრის ქალაქში ვერ ნახავთ ნასწავლთა და წერა-კითხვის მცოდნეთა ამდენ პროცენტს. რაც შეეხება თვით სოფლებს, იქაც იშვიათად შეხვდებით წერა-კითხვის უცოდინართ, მოზდილებში რასაკვირველია. აქაური სკოლები ვერ ასდიან სწავლისათვის მოწყურებულ ბავშვებს. ერთი სარწმუნო მასწავლებლის სიტყვით, სკოლებს გარდა მაზრის მცხოვრებლები მარტო შინაობაში სახმარებლად ასაღებენ წელიწადში 2,000-ოდე „დედა-ენას“, 1,000-ოდე «ბუნების კარს» და 700-მდე „კონას“. დაუმატეთ ეს აქაური ალებ-მიცემობის სიდიდეს, ზედ მიათვალეთ გურულების გამჭრიახობა და ნიჭი და თქვენც დამეთანხმებით, რომ თუ გარეგანნი, მძლავრნი პირობანი არ უცარავდენ ხელს ამ ტურფას და ბუნებით მდიდარს მაზრას, მისი ყოფა ცხოვრება ბარდანქეშან-ჰაიარის სისწრაფით უნდა შედიოდეს ზნეობრივსა და გონებრივს წარ-

თავისი ბიბლიოთეკა «წერა-კითხვის საზოგადოებას».—(წერილი მიმართული თ-დი ვას. მაჩაბლისადმი).

„ქნიაზო ვასილ!

«დიდი ხანია გულში მიძევს, რომ მთელი ჩემი ბიბლიოთეკა, რომელიც შეეხება საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ლიტერატურას ანუ საზოგადოდ რაიმე მხარეს ჩვენის სამშობლოსას, გარდამეცა ჩვენის „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისადმი“, რომელსაც, რასაკვირველია, უფრო მომეტებული სახსარი და ღონისძიება აქვს ამით სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ქვეყანას, ვიდრე კერძო პირმა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო დღემდის ეს სურვილი შეუძრულებელი დამრჩა. ახლა გთხოვთ ჩემს მაგიერ გარდასცეთ მმართველობას ზემოხსენებულის საზოგადოებისას, რომ მე მოვახდინე განკარგულება მთელი ჩემი ბიბლიოთეკა—თავადმა კონსტანტინე დავათის-ძე ნიჟარაძემ ჩაიტანოს ქ. თბილისში «დროების» რედაქტორთან, სადაც საზოგადოებისგან ამორჩეულ პირთ შეუძლიანთ ჩაიბარონ ისეთი წიგნები, რომელთაც ისინი დაინახავენ საჭიროდ და სასარგებლოდ.

„თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით საზოგადოება მოუტანს რასმე სარგებლობას ჩვენს სამშობლო ქვეყანას, მით შევრაცხ ჩემს თავს ბედნიერად.

„თქვენი პატივისმცემელი
„თავადი მეგრელიისა.

„28 თებერვალს. 1885 წ.
„პეტერბურგი».

ამ ფრიად საამო ამბავს ის უნდა დავუმატოთ, რომ ჩვენ ენახეთ კატალოგი ამ ბიბლიოთეკისა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად მეგრელიის თავადის მინდობილობით შეუდგენია თ. აკაკი წერეთელს.

== შაბათს, მარტის 16-ს, მოხდა კრება გეოგრაფიული საზოგადოებისა, რომელზედაც გენერალმა ზელიონიმ, უფროსმა ალაზნისკენ სამხღვრების გამყვან კომისიისამ წაიკითხა ვრცელი და საყურადღებო რეფერატი ამ ქვეყანაზედ. ზელიონის სიტყვით ალაზანი წარმოადგენს ფრიად ნაყოფიერს ქვეყანას დასახლებულს მამაცის და მეომარის ხალხით, რომლებთანაც ბრძოლა ევროპიულ სახელმწიფოსათვისაც კი საადვილო არ არის.

ზელიონის შემდეგ ფოტოგრაფმა კონდრატენკომ წარმოუდგინა საზოგადოებას სხვა-და-სხვა ფოტოგრაფიული სურათები იმიერ-კასპიის მხრის ბუნებისა და ხელოვნებისა.

ბოლოს, საზოგადოებამ მოისმინა რეფერატი ბ-ნი სმირნოვისა და პასუხი ბ-ნი ზაგურსკისა შესახებ იმისა თუ რა არის ნათესავი (племя) და ხალხი (народъ) და რომელნი კავკასიელნი მცხოვრებნი შეადგენენ ნათესავს, რომელნი ხალხს. ამ რეფერატზედ ეხლა არას ვიტყვით და ხვალ-ზეგ დავბეჭდავთ ვრცელს წერილს მის შესახებ, არა იმიტომ რომ ბ-ნ სმირნოვს მართლა საყურადღებო რამ წარმოედგინოს (მის რეფერატში არავითარი მეცნიერული საფუძველი არ მოიპოვება), არამედ იმიტომ, რომ თვით საგანი მართლა რომ საყურადღებოა და ღირს მასზედ ლაპარაკი.

== ჩვენ შევიტყვეთ, რომ თაჟადს მეგრელიისას ახლად გახსნილ სათავადაზნაურო სკოლისათვის დ. ძველ-სენაკში აღუთქვამს რამდენიმე ქცევა მიწით დახმარება.

== ამ ჟამად თბილისში იმყოფება ათონის ქართველთა ახალ-სავანის წინამძღვარი ბენედიქტე ბარკალაია, რომელსაც მინდობილი აქვს წარმოება ათონის ბერძენთა და ქართველთა ბერების შუა ამტყდარის დაუსრულებელის დავისა. წინამძღვრისათვის ყოველ-გვარი შემწეობა აღუთქვამთ კავკასიის მთავარ-მმართებელს და საქართველოს ექსარხოსს.

## სამართალი

### ანთიმოზ წერეთლის მკვლელობის საქმე

მარტის 16 სამსაჯულო პალატაში გაირჩა რაჭის მაზრაში მცხოვრებ წერეთლების საქმე. მსაჯულებმა თავდაპირველად მოისმინეს მოწამეთა ჩვენება, რომელმაც წინ გადაგვიშალა საზარელი სურათი ამ ველურის მკვლელობისა.

რაჭის მაზრის ს. ჯვარისაში მცხოვრებთ, სეფეს და ანთიმოზ წერეთლებს იმ თავითვე ერთმანეთში მეგობრული განწყობილება ჰქონდათ, მაგრამ უკანასკნელ დროს ერთი მეორის დაუძინებელი მტრები შეიქმნენ... ამნაირი მტრობა მათ შორის გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: ბრალდებულმა სეფე წერეთელმა მოსტაცა ცოლი სვიმონ წერეთელს, ანთიმოზ წერეთლის მეზობელს. ანთიმოზი ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, რომ ორგული ცოლი ქმრისთვისვე ჩაებარებინა; მაზრის უფროსმაც ამნაირი განკარგულება მოახდინა. ანთიმოზსა და სეფეს შუა გაცხარდა შური და მტრობა, ორივენი ცდილობდნენ ერთმანეთისათვის ზარალი მიეცათ, ერთმანეთს სასიკვდილოდ არ ინდობდენ. ერთს ღამეს სეფეს ცხენები, საძოვარზედ გაშვებულნი, გამხეცებულნი მოცვივდენ სახლში: ყურები და კუდები ყველას დაჭრილი ჰქონდათ. ამ გვარად დასახიჩრება ცხენისა ჩვენს ხალხში უსაშინელეს მტრობად ითვლება და, რასაკვირველია, სეფე ამ საქმის ჩამდენად სხვას არავის წარმოიდგენდა თუ არა ანთიმოზ წერეთელს, რადგანაც [illegible] თავის დაუძინებელ მტრად, და გულში მტკიცედ გარდიწყვიტა, რომ მტრისთვის მაგიერი პასუხი გაეცა. სეფემ საჩივარი შეიტანა მომრიგებელ სასამართლოში და ორივე მოწინააღმდეგე პირნი მიწვეულ იქმნენ დ. ონში საქმის გასარჩეველად. პირველ მიწვევაზედ ორთავ მომჩივარნი მარტოდ წავიდნენ ცალკ-ცალკე დ. ონისაკენ, გზაში შეხვდებიან ერთმანეთს, მოუვათ ჩხუბი და, რადგანაც გამშორებელი არავინ დაესწრებათ, იქამდინ სცემენ ერთმანეთს, სინამ არ დაიქანცებიან და თვითონვე არ დაზავდებიან. ანთიმოზს რაჭაში იცნობდენ გულად ღონიერ კაცად; ერთი მოპირდაპირე ვერაფერს გახდებოდა მასთან.

ანთიმოზმა სძლია სეფე წერეთელი, ცხვირი გაუტეხა და ისე საშინლად გალახა, რომ რამოდენიმე ხნით ლოგინად ჩაგდებული იყო. მოჩივარის გამოუცხადებლობის გამო სამსაჯულოში საქმე მოსპობილ იქმნა. სეფე წერეთელმა ხელ-მეორედ შეიტანა საჩივარი, და ეხლა, მეორე მიწვევაზე მან შეჰკრიბა თავისი ამხანაგები და მათთან ერთად წავიდა დ. ონში. გზაზედ ისინი შედიოდენ დუქნებში და, ჩვეულებრივ, ღვინოს — შეექცეოდენ. სოფ. ამბროლაურში ამათ ნახეს გლეხის თარსაიძის დუქანში მოქეიფე ნაცნობები, შეუერთდენ ამათ და ერთად სმას შეუდგნენ. ამ დროს ორის ამხანაგით გამოიარა დ. ონში მიმავალმა ანთიმოზ წერეთელმა; დუქანში მოქეიფეებმა მოიწვიეს იგი მაგრამ ანთიმოზმა უარი სთქვა, მადლობა უთხრა და თავის გზისაკენ გაემართა. დიდი მანძილი არ ჰქონდა გავლილი, როცა სეფე თავის ამხანაგებით დასწეოდა მას და მიეძახა: ან შენ და ან მეო. აქ ორთავეს, სეფეს და ანთიმოზს რევოლვერები ამოეღოთ, მაკ-



მატებაში... მაგრამ უბედურებაც ის არის და სავალალოც, რომ ზემოდ მოხსენებულნი გარეგანნი, ძლიერნი პირობანი ისეთის სულთა მხუთავ-სებური სიმკაცრით შემოხვევიან ჩვენი კუთხის ხალხის ცხოვრებას, ისეთი დედინაცვლური სიმძულვარით ეპყრობიან მისი ცხოვრების ყოველს ჰუმანიურსა და სამართლიანს მოთხოვნილებას, რომ არავითარი წარმატებითი ბიჯის წადგმა ხალხის ყოფა-ცხოვრებისათვის არ შეიძლება. სულითა და გულით მინდოდა ამ სიტყვების დასამტკიცებლად მომეყვანა ორი ფაქტი ოზურგეთის საქალებო სკოლისა და გამოსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის შავბედითი ისტორიიდან, მაგრამ რადგანაც ისინი იმდენად საყურადღებონი არიან აქაურთათვის, რომ მათზე სასხვათაშორისოდ საუბარი ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ბურიის მემატიანეს, ამიტომაც კვლავისათვის ცალკე წერილს ვუძღვნი მათ და ეხლა სხვა რამეებზე მოველაპარაკები მკითხველებს...

***

განსვენებულს ალექსანდრე დიუმას, საფრანგეთის მწერალს, რუსეთში მოგზაურობის დროს უთქვამს: —ერთს მილიონ ფრანკს მივცემ, ვინც რუსულ ტროიკაზე უარესს რასმე გამოიგონებსო! რომელიმე სასწაულით რომ ის დალოცვილი გაცოცხლებულიყო და გურიაში გვსტუმრებოდა, დარწმუნებული ვარ ორ-ამოდენა ჯილდოს დაუნიშნავდა მას, ვინც აქაურს გზებზედ სიარულის საშუალებას გამოიგონებდა ან და მათზე უარესს უჩვენებდა. თვალს არ უნახავს და ყურსაც არ გაუგონია იმ გვარი საძაგელი გზები, როგორნიც აქა გვაქვს; არა თუ სასოფლონი, არამედ ორი მთავარი გზა-ტკეცილი, ესრედ წოდებული სამტრედიისა და ნატანების გზები წარმოადგენენ ისტორიის წინადროინდელ შუკებს, თავიდამ ბოლომდე, ოღრო-ჩოღროებითა და მცირეოდენ ავდრის დროს გაუვალ ტალახით შეკაზმულთ. არც ერთს მოზდილ მდინარეზე არ არის გადებული არა თუ რიგიანი ხიდი, არამედ ადამის დროინდელი მოდის ბოგირიც კი, რომ ფოსტას*) და ურმეულობას თუ არა, ცხენოსანსა და მგზავრს მაინც შეეძლოს გავლა წვიმიან ტაროსში! ერთი აქაური ჩოილი ამბობს, ამ საძაგელი გზების გასაუმჯობესებლად ყურის გაუნძრევლობა მათგან, ვისგანაც ჯერ არს, უნდა მიეწეროს მათ შორის გამქვრეტელობასაო: რაკი ხოლერის დაუპატიჟებელს სტუმრობას უნდა მოველოდეთ და მისთვის შემოსასვლელ კარების გადასარაზად კარანტინი არის საჭირო, ჩვენმა ოღრო-ჩოღროთ—მეისტრებმა საუცხოვო კარანტინი დააწესეს ამ თავითვე ყოვლად გაუვლელ გზების შეუკეთებლობითო!..

***

თქვენი ჭირი წაიღოს გზებმაც და ხიდებმაც, მაგრამ ბატონებმა *) კი ჭირის ნაცვლად იმსხვერპლეს აუარებელი რიცხვი უმანკო სულთა, როგორც ბავშვებისა და ჭაბუკებისა, ისე ხანოვანთაც („მოდღევნებულთაო“ იტყოდა „ქილილა და დამანას“ მთარგმნელი). ჩვენი ვაება მით უფრო სავაგლახოა, რომ ეს ბატონები ორ-გვარია. პირველის მაჩვენებელი ნიშნები გახლავსთ შემდეგი: ადამიანს ჯერ ციებას შეჰყრის, მესამე თუ მეოთხე დღეზე მოწითანო წინწკლებს გამოჰყრის, მეშვიდე დღეზე სათუთში ჩააგდებს და თუ მსხვერპლი სიკვდილს როგორმე გადაარჩინა, სამუდამოდ დამამახინჯებელს დაღს დაასვამს სახეზე... მეცნიერი ექიმების უმრავლესობა მოგახსენებენ, რომ ამ-გვარი ბატონების თავიდან მოსაცილებელი საშუალება აცრა არისო, რომელიც უთუოდ უნდა დაასწროთ მათს მობძანებასაო. ჩვენ გვრწამდა მათი ნათქვამი და გვეგონა, ღვთისა და თქვენის წყალობით, ისეთს რუსულ პანჩურს ამოვკრავდით ამ ბატონებს, რომ შიგ ჯურღმულში ყირამალა გადავისროდით; გვეგონა ამ საქმეში ხელს გაგვიმართავდა მაზრის ექიმი ბატ. დ—ანცი მისი სამალსამი ფერშლითურთ, გვეგონა ამ ვაჟბატონებს საკმაოდ ექნებოდათ ასაცრელი წამალი; გვეგონა პ—იაც ხელს

*) 1—7 მარტამდე სამჯერ მოისპო სრულიად ყოველივე მიმოსვლა გურიისა და დანარჩენ ქვეყნის შორის. ავტ.

*) ასე უძახიან ჩვენშიაც ყვავილს. ავტ.

რამსროლით კი არ ესროლათ. რაკი ანთიმოზს შეეხედნა, რომ მისი ამხანაგები არ შველოდენ და თვითონ კი მარტო რამდენიმე კაცს ვერ გაუმაგრდებოდა, გადიეხვია იქვე გზაზედ, რომელიც გლეხის ქერესელიძის ეზოში შედიოდა, დაება თავის ცხენი ღობეზედ და გლეხის სახლში შესულიყო. სეფე ამხანაგებით გამოსდგომოდა, ჯერ გლეხისთვის ეძახნა: არ შეუშვა სახლში, თორემ აგყრიო,—და შემდეგ ანთიმოზისთვის დაეძახნა:—გამოდი თუ დედა-ბერი არა ხარო! უკანასკნელი ეზოში გამოსულიყო, შემდგარიყო ძალოვან ადგილზედ და დაეძახნა: დათვი ხომ არა ვარ, რომ თოფებით მოდიხართ, თუ ბიჭები ხართ თითო-თითოდ გამოდითო!—ამ დროს ამტყდარიყო ორივე მხრით რევოლვერების სროლა, ბოლოს სეფეს ერთს ამხანაგთაგანს, ასათიანს გამოერთმია თავის მოსამსახურისათვის თოფი, ესროლა ანთიმოზისათვის, მაგრამ დაეცილებინა, მეორედ ესროლა და ანთიმოზი მუხლში დაეჭრა. დაჭრილი გლეხის დაცარიელებულს სახლში შევარდნილიყო, საიდგანაც იძახოდაო:—არ მიახვიდეთ, თორემ მოგკლავთ! მკვლელებს ერთმანეთი დაეიმედებინათ, რადგან ანთიმოზს რევოლვერის პატრონები აღარა ჰქონდა, შეცვივნულიყვნენ სახლში, სადაც დაჭრილობისაგან ძალა მილებული ანთიმოზი გუფთა-გუფთად აეკუწნათ და მშვიდობიანად უკანვე დაბრუნებულიყვნენ. ამ მკვლელობის დროს იქ დასწრებოდა დიდძალი გუნდი ხალხისა, რომელსაც არავითარი ზომები არ ეხმარა ჩხუბის შესაყენებლად.

პალატამ სამს მკვლელს კატორღა გადაუწყვიტა და ერთს კი, მცირე წლოვანობის გამო, ეს სასჯელი ციმბირში სამუდამოდ გადასახლებით შეუმსუბუქა.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“.

მარტის 16-ს.

**პეტერბურგი.** ხმებია, რომ ფინანსთა სამინისტრომ საჭიროდ სცნო ყოველ წლივ, დეკემბერში, მოახდინოს კრება სადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელთა.

**ბუხარესტი.** გასულ ღამეს დაიწვა დეპუტატთა პალატის შენობის ნაწილი, არქივი გადარჩა; კრების დარბაზი არ დაზიანებულა.

**სუაკიმი.** კასალის მეციხოვნენი კიდევ მაგრადა სდგანან. ამბობენ, იტალიის მოლაპარაკება აქვსო კასალის გამოსახსნელად, რომელსაც დიდი ხანია ცრუ-წინასწარმეტყველის ჯარები არტყია.

**ლონდონი.** ლორდთა პალატაში სალისბიურმა ჰკითხა გრანვილს შეუძლიან მან აცნობოს: როდის დაიწყება განმსაზღვრელი კომისიის მუშაობა; არსებობს პირობა, რომ რუსის ჯარები არ დაიძრიან დაჭერილის ადგილებიდამ, სანამ საზღვარი არ იქნება გაყვანილი და დასთანხმდება თუ არა ავღანის ემირი ესეთს პირობაზედ; ამასთან სალისბიურმა დაუმატა—იმიტომ ვიძლევი ამ კითხვებს, რომ საზოგადოებათა პალატაში ეჭვობენ მმართებლობის მტკიცე გარდაწყვეტილებაზე; მმართებლობის თავის დაჭერა ადვილი ასახსნელია, მაგრამ შეიძლება ეს თავის დაჭერა სულ სხვა ნაირად იქმნას აღსნილი აღმოსავლეთში და განსაკუთრებით ავღანისტანში, რომელიც, როგორც კი ინგლისს თუნდ მცირე ყოყმანობას შეამჩნევს, არა თუ მოისპობს ყოველ გვარს მეგობრულს კავშირს მასთან სრულიადაც განშორდება მას. გრანვილმა მიუგო, რომ მან იმ გვარისავე სიცხადით ილაპარაკა მმართებლობის პოლიტიკაზე საზოგადოებათა პალატაში, როგორითაც ლორდთა პალატაში და ამიტომ ვერ გაუგია, საიდამწარ მოსდგა ეჭვები კაბინეტის მტკიცე გარდაწყვეტილების შესახებ. მმართებლობა მტკიცედ ადგია პარლამენტისაგან მოთხოვნილს პოლიტიკას და ყოვლის ღონით სცდილობს,—სადავო საქმის გარდაწყვეტით ერთ გვარის პატივის-ცემით დააკმაყოფილოს რუსეთი, ინგლისი და ინდოსტანიც. სალისბიურისაგან დადგენილს სხვა კითხვებზედ გრანვილმა სთქვა, რომ განსაზღვრული კომისიის დღის დანიშვნა ჯერ არ შეიძლება, რადგან ამ საგნის თაობაზე რუსეთისაგან პასუხი არ მოსულაო. მეორე მუხლის თაობაზე მმართებლობა ფიქრობს, რომ რუსის მმართებლობა შეკრულია მასთან ამ ბოლოს დროს მიცემულის რწმუნებებით. რაც შეეხება უკანასკნელ მუხლს, ემირს პირობა უკვე ნაცნობები აქვს და გრანვილი ფიქრობს, რომ ემირმა უკვე მისცა ჯარებს შესაფერი ბრძანება, რომელსაც ჯარებიც აასრულებენ. არგაილის ჰერცოგმა წარმოსთქვა, რომ მმართებლობა გონივრად ვერ იქცეოდა, როდესაც რუსეთს წინადადებას აძლევდა საშუალო აზიისაგან წაწევის დროს მერვის დაჭერამდე: რუსეთისაგან დაპყრობა ამ ავაზაკების ბუდისა ცივილიზაციისათვის და ვაჭრობისათვის სახარბიელოც იყო, მაგრამ ამ გარემოებამ სხვა მნიშვნელობა მიიღო რუსეთის ჰერათისაკენ წინ-წაწევით; ჰერცოგი კმაყოფილია, რომ მმართებლობამ მტკიცედ გარდასწყვიტა დაეხმაროს ავღანისტანს და დაიცვას თვისი სამზღვრები. დასასრულ ჰერცოგმა იკითხა: მართალია თუ არა, რომ ლემსდენის ინსტრუქციებში პენდე აღნიშნულია, როგორც სადავო ადგილი და რომ ამის მიუხედავად ავღანელებმა დაიჭირეს ეს ქალაქი? გრანვილმა უარი სთქვა ლემსდენის ინსტრუქციების განმარტებაზე, მაგრამ განაცხადა, რომ ამ ინსტრუქციებისა და ავღანელებისაგან პენდეს დაჭერის შორის არავითარი კავშირი არ სუფევსო—პენდე კომისიის მისვლამდის იქმნა დაჭერილიო. საზოგადოებათა პალატაში სამხედრო მინისტრმა გარტინგტონმა განაცხადა, რომ კოროლევას მოწერილობა ორშაბათს განირჩევაო, თუმცა კოროლევის პროკლამაციის ძალით ეხლაც დაუყოვნებლივ შეიძლება მოწვევა რეზერვებისა და იმ ჯარის კაცებისა, რომელნიც ჩვეულებრივს დროს მომქმედის ჯარის გარეშე ითვლებიან. საზოგადოდ მოწერილობის გარჩევა არ დააყოვნებს სამხედრო სამინისტროს მიიღოს ზომები.

საზოგადოებათა პალატამ 294 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 246 მიიღო მმართებლობის წინადადება ეგვიპტის ფინანსების თაობაზედ.

**რავალ-პინდი.** გუშინ ინდოსტანის ვიცე-კოროლი მოვიდა აქ ემირის მოსაგებებლად.

**პარიჟი.** სენატმა მიიღო პალატის დადგენება ხორბალზე სადამოქნო გადასახადის მომატების თაობაზე.

მარტის 17-ს.

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრმა სახემწიფო რჩევაში წინადადება

---

განძლევდა და მიიღებდა კანონისაგან მისთვის სავალდებულოდ დადგენილ ღონის-ძიებას,—მაგრამ მეტის-მეტად მოვსტყუვდით: არც ერთს და არც მეორეს თავი არ შეუწუხებია მოარულ ბატონებისაგან გასაქლეტად გამეტებული ხალხის მიშველებისათვის. სოფლები: ჩიბათი, ჩოჩხათი, ჭყურუმეთი, ვანის-ქედი და ჩოხატაურის საპრისტაო იმუსრება და იქლიტება ამ სნეულებისაგან, მკუბოები კუბოთა კეთებას ვერ ასდიან, ხალხის დრტვინვა და აუარებელ მიცვალებულების დედათა და სხვა ჭირისუფალთა ტირილი ქვასაც კი ატირებს, მაგრამ გული ვერ მოულბო და თავი ვერ შეაბრალა ბატონებს...

***

მეორე გვარი ბატონები პირველზე უფრო ახალ გაჩენილი სნეულება არის, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ მათ წინააღმდეგ აცრა არ მოქმედებს, და არც სხვა წამალი იცის ჯერ მეცნიერებამ მათდა მოსასპობად. მათი თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ მეწყერის ან მათს თავზე მეხის დაცემის მეოხებით, მაგრამ ეს უკანასკნელნი მოვლენანი გურიაში ჩვენს ხსოვნაში არა ყოფილა და საუბედუროდ (ერთის მხრით, რასაკვირველია) არც იქნება, მგონია.

გამოჩენილს გერმანიელს მეცნიერს კოხს გამოუკვლევია ამ მეორე გვარი ბატონების წარმომშობი მიზეზი და აღმოუჩენია რომ მას აჩენენ ერთგვარი მწერები, ანუ როგორც თვით კოხი უძახის მიკრობები რომელსაც გამოჩენილი მეცნიერი აგვიწერს ასე: *) „მათ აქვთ მხედველობას მოკლებული ერთი თავი, გავსებული მყრალი ბალღამით, მკლავების მსგავსი ორი კლანჭი და ორი კუდი, რომელთაც ფეხების მაგივრადაც ხმარობენ. ისინი ერთგვარის სიმკაცრით ჰრავენ როგორც სალს, ისე სნეულს აგებულებასა; მეტისმეტად წუწკნი არიან მკვლელობის გამოხვრაში; ცდილობენ ავადმყოფს სული მოუხუთონ და მერმე უფრო სიმკაცრით იჩინონ თავიანთი მომაკვდინებელი ძალა.“

ჩვენმა დაკვირვებამ დაგვანახვა, რომ ეს ბატონები პირველსავით სნეულისაგან სნეულზე გადამდები კი არ არიან, არამედ თავიანთგან არჩეულს მსხვერპლს შეეყრებიან ხოლმე ერთისა და იმავე მეთაურ მიკრობისაგან (მწერისაგან), რომელიც ჰბუდობს ოზურგეთის ერთ-ერთს მაღლობზე ამოყვანილს ჭაში...

ათს ამ თვისას, კვირა დღეს ამ ქალაქში გამოიარეს რამდენიმე გლეხებმა ურმებით, რომლებითაც ს. შეკვეთილში სიმინდი ჩაეტანათ გასასყიდად შაბათს დღეს, და რადგანაც მყიდველებთან ანგარიშის გასწორება დაგვიანებოდათ, კვირა დღეს უნდა გაშურებულ იყვნენ შინისკენ. მაგრამ, დახე უბედურებას! შიგ შუაგულ ბაზარში საწყლები შეპყრობილ იქმნენ ბატონებისაგან (ყვავილისაგან) და ამ რიგად ყოვლად უსამართლოდ (აბა, ერთი მითხარით, ყვავილმა რა იცის სამართალი!) წაერთვათ ცოლშვილში დაბრუნების ღონის ძიება. საწყლები დაეკითხნენ ერთს მადლიან მღვდელს: ხუცესო, მამა-შვილობას გვითხარი, რად შეგვიპყრო ბატონებმაო?

— მიტომ შვილოო, მიუგო მღვდელმა, რომ კვირასა სტეხთო: კვირა დღეს ურმით სიარული არ შეიძლება, დანაშაულობა არისო.

— მამაო, ჩვენ ხომ არ ვმუშაობდით, პარასკევს შეკვეთილში სავაჭროდ წასულნი დღეს სახლში ვბრუნდებით... შენ როგორ ჰფიქრობ, მამაო, სამართლიანად შეგვიპყრო ბატონებმა?

— ეჰ, შვილებო, ყვავილმა რა იცის სამართალი. ის ისე იქცევა, როგორც თვითონ ამბობს: კანონი მარჯვენით გადაუდვია, სამართალი მარცხნით თვითონ კი ჟინჟურად ნავარდობს და მუსრს ავლებს სადედინაცვლო ხალხს. მაგრამ ღმერთი მოწყალეა: რადგანაც ამ ყვავილმა—ბატონებმა—გადააჭარბეს თვით თავის წარმომშობ მიკრობის მძვინვარებას, ამიტომაც მასაც (ყვავილს, გინა ბატონებს) იმ ხბოსავით მოუვა საქმე, რომელმაც დედას გაასწრო და რამდენიმე ნახტომის შემდეგ მგელმა შეჭამა...

ა. ყლანძე.

---

*) იხილე ამ მოკლე ხანში შეჩერებული საექიმო გაზეთის Здоровье-ს № 35, ავტ.

შეიტანა შესახებ ფულის თანხის შემოსავალზედ ბაჟის დადებისა. ბაჟის დაწესებას ფიქრობენ იმ კვალობაზედ, როგორი გადასახადიც ჩვენში დღეს დაწესებულია უძრავ ქონებათა შემოსავალზედ, მრეწველობაზედ და ვაჭრობაზედ; სივრცე გარდასახადისა იქნება 5%, მაშასადამე ბევრით ნაკლები, მინამ ავსტრიაში, სადაც 20%, იტალიაში, სადაც — 13%, საფრანგეთში — 9½%. გადასახადისაგან განთავისუფლებულნი იქმნებიან სარგებელნი სახემწიფო სესხებისა, გადასახადი შემნახველ კასებისა, გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა და სასოფლო ბანკებისა, აქციებისა და საწევრო შემოსავალი და სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოებათა მოგებანი; გადასახადი, სასწავლო, სღვთისნიერო და საქველ-მოქმედო დაწესებულებათა კაპიტალის შემოსავალზე და აგრეთვე ემირიტალურ კასაზე აღებულ იქმნება საზოგადო წესისამებრ, მაგრამ უკანვე იქნება დაბრუნებული ხაზინისაგან. დროზედ გადაუხდელობისათვის თვეში 1% ჯარიმი გადახდება, და დაფარვისათვის, ანუ შემოსავლის უდროვოდ ჩვენებისათვის — სამკეცი ჯამი უზღველის გადასახადისა, და ამას გარდა დამნაშავენი სისხლის სამართალში მიეცემიან.

Journal de St.-Pétersbourg-ი ლორდ გრანვილის უკანასკნელ განცხადებათა შესახებ ლორდთა პალატაში მიაქცევს ყურადღებას მაზედ, რომ ამ განცხადებათაგან ცხადად სჩანს, რომ რუსის მმართებლობის პასუხი მალე იქმნება მიღებული ლონდონში და მოლაპარაკების საკეთილოდ დასრულება მოსალოდნელიაო. — ამ გვარის მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, უეჭველია, ინგლისის სამხედრო მინისტრიც, როდესაც განაცხადა, რომ მხოლოდ ორშაბათი დაინიშნოს კოროლევას მოწერილობის გასარჩევად რეზერვების მოწვევის შესახებ

პარიჟი. დეპუტატთა პალატაში ფერიმ გუშინ ჩინეთის საქმეთა შესახებ განმარტა, რომ თვით პალატამ გარდასწყვიტა სამხედრო მოქმედების სფერის გავრცელება; ამასთან მინისტრმა წინადადება შეიტანა, რომ ნდობა განუცხადონ კაბინეთს და შეუდგენ შემდეგის მორიგის საგნების გარჩევას; წინადადება 273 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 227-ისა მიღებულ იქმნა.

სენატმა მიიღო დამატებით საბაჟო გადასახადი საქონელზედ.

დღეს ფონტანებლოში გარდაიცვალა რუსის ბერლინელი ელჩი თავადი ორლოვი.

თონკინში ჩინელები იერიშით მიდიან ფრანცუზების ჯარებზე; გენერალი ნეგრიე მძიმედ დაიჭრა და იძულებულია დასტოვოს ლანგსონი. სამი ძლიერი რაზმი ჩინელების ჯარისა იერიშით მივიდენ ფრანცუზების სიმაგრეებზე. ფრანცუზებმა დაიწყეს ლონგსონგისა და თანოისაკენ. გენერალ ბრიერ-დე-ლილმა შეჰკრიბა ერთად თვისი ჯარები და იმედი აქვს კიდე გამაგრდეს თონკინში, მაგრამ აუცილებლად თხოულობს ჯარების მოშველებას საფრანგეთიდამ.

მარტის 18-ს

პარიჟი. გუშინ საღამოს და დღეს დილით მინისტრებს სჯა ჰქონდათ თონქინის საქმეების შესახებ. ფრანცუზების ჯარების დამარცხებამ ცუდი შთაბეჭდილება იქონია აქ. ჟურნალ-გაზეთების კილო ენერგიულია; ზოგიერთი გაზეთები ითხოვენ პეკინზე გალაშქრებას, სხვანი კი ურჩევენ, რომ დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ჯარები თონქინში, ბრიერ-დე-ლილის ჯარის მისაშველებლად; გაზეთები ამბობენ, რომ ჯერ საჭიროა შველა მიეცეს ამ სამწუხარო მდგომარეობას, შემდეგ-კი პასუხის გებაში მიეცნენ დამნაშავენი. დღეს პალატაში მოელიან ფერისაგან განმარტებას.

ათინა. საბერძნეთის სხვა-და-სხვა ადგილას მიწის ძვრა იყო; ზოგიერთს ქალაქში დაიქცა სახლები და მცხოვრებთ ზარალი მიეცათ.

ლონდონი. პარასკევს გენ. ვოლსლეი წავიდა დონგოლაში, ხოლო დღეს ქაირში მოელიან.

# განცხადებანი

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-მოწერისა

## სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ცხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ, „დროების" რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება რვა მანათიდამ ათ მანათამდე, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს, ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი «ვეფხის-ტყაოსნის» გამომცემელი

(25—3) გ. ქართველიშვილი.


დაყიდვა

ნახევარ ფასად: ტანისამოსი, ქუდები, ჩოთქები, პენალები, კრანები, ნიჩბები, სურათები, საფხეკი, სახეხი, ჰადრაკი, პორტსიგარები, სალესავი და სხვ. და სხვ. ინგლისის მაღაზიაში. (10—10)

განსაკუთრებული მაღაზია ორთქლის მაშინებისა

როგორც მკვიდრი ისე ლოკომობილებისა

ჰორიზონტალური და ვერტიკალური 1—50 ცხენის ძალამდე




ყველა მაშინები დამზადებულები არიან

J. HERMAN — LACHAPELLE

J. BOULET et Ceie, Successeurs, Ingénivurs-Constructeurs.

RUE BOINOD, 31-33 (Boulevard Ornano, 4-6) PARIS

ვინც ფოსტის მარკას გამოგზავნის, დაწვრილებითი პირობები გაეგზავნება. (2—1)

რამაშკა ბურელისა

საუკეთესო საშუალება აქამომდე ცნობილ საშუალებათა შორის.

უეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. ჭრიჭინებს, პრუსაკებს, ბაღლინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის ჭიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უეცრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამომგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ „რამაშკა ბურელის" ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

ისყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ—კავკასიისათვის არის თბილისში „კავკასიის საზოგადოება სააფთიაქო საქონლით ვაჭრობისა და მის განყოფილებში ბაქოს. Ц 19,485

(25—21)

ПОДПИСКА

На политическую и литературную газету

ВОСТОКЪ

НА 1885 Г.

Газета ВОСТОКЪ служитъ органомъ православныхъ восточныхъ народовъ, выходитъ до двухъ разъ въ недѣлю.

**Подписная цѣна:** съ доставкою и пересылкою за годъ 8 руб. за ½ года 4 руб. 50 коп. За границу за годъ 10 руб. за ½ года 5 руб.

**Подписка принимается:** ВЪ МОСКВѢ, въ редакціи, у малаго камен. моста, Д. Полякова. (10—8)

ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა, ორი ტომი, ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე ქუთაისისაში. ფასი თვითო ტომისა მანათ-ნახევარი. თბილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებნი პირნი დაიბარებენ ქადაგებათა ამ სახით: въ Тифлисъ, въ Кавказскую книжнюю торговлю Грикурова, ან въ Кутаисъ: въ канцелярію Епископа. (16—15)


*Дов. ценз. Тифлисъ, 18 Марта 1885 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.